ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3025888

ნომერი: AR1467223

თარიღი : 28.12.2016

გაცემის თარიღი : 03.01.2017

გაცნობის თარიღი : 06.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბნის საცხოვრებელი რაიონის IIა მ/რ ჩრდილოეთით.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გელა ზარდიაშვილი პ/ნ 01011008818
- თბილისი ბ.ხმელნიცკის ქ. N 43

ნომენკლატურა :

- აშენებული
- სხვა ფუნქციის შენობა
- ლეგალიზება
- უნებართვო მშენებლობა

...სატიტულო ინფორმაცია :

- ...ფუნქციური დანიშნულება : დამხმარე ფართი

არ არის წარმოდგენილი მშენებლობის 2007 წლის 01 იანვრამდე დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, პროექტისა და ფოტოსურათების შტამპში მითითებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, მოთხოვნა დამხმარე ფართის ლეგალიზებაზეა, საერთო ფართით 496,05 კვ.მ, რაც გაუგებარია.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური განმარტავს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-51 დადგენილების მე-4 მუხლის მე-

4 და მე-5 პუნქტების თანახმად, „თუ განმცხადებელი სამსახურს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, სამსახური განმცხადებელს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას დამატებითი დოკუმენტის ან/და ინფორმაციის წარდგენისათვის“ და „თუ ამ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან/და ინფორმაციას, განცხადება განუხილველად იქნება დატოვებული. სამსახური უფლებამოსილია განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ ცალკე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ გამოსცეს.“

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის #660 ბრძანებულების თანახმად

ვბრძანებ

1. დაევალოს განმცხადებელს 10 დღის ვადაში შეასწოროს ზემოაღნიშნული ხარვეზები და დამატებით წარმოადგინოს:

ა) სალეგალიზაციოდ მოთხოვნილი ობიექტის მშენებლობის 2007 წლის 01 იანვრამდე დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) ობიექტის არქიტექტურული პროექტი - ობიექტის არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანილი (მათ შორის „კად“ ფაილი);

გ) სალეგალიზაციოდ მოთხოვნილი ობიექტის ყველა ფასადის ამსახველი ფოტოსურათები პანორამული ხედებით;

დ) 2014 წლის 07 აპრილის მდგომარეობით მომზადებული, სარეგისტრაციო ნომრით #14038203 სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული ყადაღის საფუძველი;

ე) იმ დოკუმენტის ასლი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა შპს „სამიტი“-ს დამატება მოვალეთა რეესტრში;

2. ზემოაღნიშნულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის ან/და არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში განცხადება დარჩეს განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.